

ფინანსური ანგარიშგებები

შპს ინტერმედია ტექნოლოჯის ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2023

	შენიშვნები	31.12.2023	31.12.2022
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	2,121,215	1,890,465
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,548,221	972,706
გადახდილი ავანსები		106,981	115,191
მარაგები		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
საგადასახადო აქტივი		69,371	15,841
სულ მიმდინარე აქტივები		4,845,788	2,994,202
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	755,884	342,362
არამატერიალური აქტივები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		755,884	342,362
სულ აქტივები		5,601,672	3,336,565
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	137,640	161,346
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		137,640	161,346
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		137,640	161,346
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		3,175,219	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		2,288,813	3,175,219
სულ კაპიტალი		5,464,032	3,175,219
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,601,672	3,336,565

დირექტორი:

ჯეისონ ჰენრი ველდჰუსი
31 დეკემბერი, 2024

შპს ინტერმედია ტექნოლოჯის ჯორჯია
მოგება/ზარალის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2023

	შენიშვნები	2023	2022
შემოსავალი	9	31,906,966	19,357,886
თვითღირებულება			
სხვა წმინდა შემოსავალი/ზარჯი			
წმინდა საკუროს შემოსავალი/ზარჯი	10	30,588	137,923
სულ შემოსავალი		31,937,554	19,495,809
დასაქმებულთა ანაზღაურება		(28,281,948)	(15,177,420)
ცვთა და ამორტიზაცია		(135,044)	(17,790)
იჯარის ხარჯი		(340,140)	(86,053)
ფინანსური ხარჯი		-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	(451,929)	(575,007)
წმინდა საკუროს შემოსავალი/ზარჯი		(439,680)	(464,320)
სხვა წმინდა შემოსავალი/ზარჯი			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		2,288,813	3,175,219
მოგების გადასახადი			
პერიოდის შედეგი		2,288,813	3,175,219

დირექტორი:

ჯეისონ ჰენრი ველდჰუსი
31 დეკემბერი, 2024

შპს ინტერმედია ტექნოლოჯის ჯორჯია
 კაპიტალში მოძრაობის ანგარიშგება
 31 დეკემბერი, 2023

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
კაპიტალი 31.12.2021 მდგომარეობით	-	-	-
პერიოდის შედეგი	-	3,175,219	3,175,219
კაპიტალი 31.12.2022 მდგომარეობით	-	3,175,219	3,175,219
პერიოდის შედეგი	-	2,288,813	2,288,813
კაპიტალი 31.12.2023 მდგომარეობით	-	5,464,032	5,464,032

დირექტორი:

ჯეისონ ჰენრი ველდჰუსი
 31 დეკემბერი, 2024

შპს ინტერმედია ტექნოლოჯის ჯორჯია
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2023

	31.12.2022	31.12.2023
წლის მოგება	3,175,219	5,464,032
კორექტირება:		
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	(464,320)	(439,680)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	2,710,898	5,024,352
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(972,706)	(2,548,221)
ცვლილებები მარაგებში	-	-
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(115,191)	(106,981)
ცვლილება სხვა აქტივებში	(15,841)	(69,371)
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	161,346	137,640
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	-	-
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,768,507	2,437,420
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ცვლილებები ძირითად საშუალებებში და არამატერიალურ აქტივებში	(342,362)	(755,884)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(342,362)	(755,884)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
სასესხო ვალდებულებები	-	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	464,320	439,680
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	1,890,465	2,121,215
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	-	-
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	1,890,465	2,121,215

დირექტორი:

ჯეისონ ჰენრი ველდჰუსი
31 დეკემბერი, 2024

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს Intermedia Technology Georgia (I/N: 402211030) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ამერიკიდან მოიხსენიება როგორც კომპანია). კომპანია დარეგისტრირდა 2022 წლის 8 აპრილს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია Intermedia.net, Inc., რომელიც რეგისტრირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში სარეგისტრაციო ნომრით 4466208. კომპანიის დირექტორი არის ჯეისონ ჰენრი ველდჰუსი, 482533478 /აშშ/.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, No129ა, ოფისი No4

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების მიწოდება. კომპანიას მინიჭებული აქვს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი 2022 წლის 25 სექტემბერიდან.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2023 საანგარიშო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე განახორციელონ ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს.

ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12 - თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი

კომპანია შემოსავალს იღებს საინფორმაციო ტექნოლოგიური მომსახურების გაწევით. შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

დაქირავებულ პირთა ანაზღაურება

ხელფასები, საპენსიო შენატანები, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც ხდება ანაზღაურების მიღება თანამშრომლების მიერ.

გადასახადები

კომპანიას მინიჭებული აქვს საერთაშორისო კომპანიის საწარმოს სტატუსი. საერთაშორისო კომპანია არის საქართველოს საწარმო, რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საქმიანობებს ახორციელებს და შემოსავალს მხოლოდ ამ საქმიანობებიდან იღებს. საერთაშორისო კომპანიაში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავალი გადახდის წყაროსთან იბეგრება 5 პროცენტით. საერთაშორისო კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება. საერთაშორისო კომპანიის მოგების გადასახადის განაკვეთია 5 პროცენტი. საერთაშორისო კომპანია გათავისუფლებულია ქონების (გარდა მიწისა) გადასახადისაგან, თუ ეს ქონება საქართველოს მთავრობის დადგენილებით ნებადართული საქმიანობის განხორციელებისათვის არის გამოიზნული ან გამოიყენება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

დასახელება	სასიცოცხლო ვადა
შენობა-ნაგებობები	20
ოფისის ინვენტარი/ კომპიუტერული ტექნიკა	5
კაპიტალურ დანახარჯები	5-20
სატრანსპორტო საშუალებები	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

იჯარა

იჯარა არის მხარეთა ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმად მეიჯარე მოიჯარეს გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში. იჯარის კლასიფიკაცია ხდება იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი ვადის განმავლობაში. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საიჯარო ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასულობები

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. მარაგის ღირებულება განისაზღვრება უმცირესით, ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის.

მარაგების თვითღირებულების გაანგარიშებისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გაწეული ხარჯით. გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

გადახდილი ავანსები

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე, შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2023	31.12.2022
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	91,042	227,363
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	2,030,173	1,663,102
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2,121,215	1,890,465

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	2,548,221	972,706
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	-	-
გადახდილი ავანსები	106,981	115,191
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,655,202	1,087,897

7. ძირითადი საშუალებები

ღირებულება	მანქანა-დანადგარი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ბალანსი 31.12.2021	-	-	-	-
შეძენა	-	360,152	-	360,152
ჩამოწერა	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2022	-	360,152	-	360,152
შეძენა	-	548,566	-	548,566
ჩამოწერა	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2023	-	908,718	-	908,718
ცვეთა	მანქანა-დანადგარის ცვეთა	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	სულ
ბალანსი 31.12.2021	-	-	-	-
ცვეთა	-	17,790	-	17,790
ჩამოწერა	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2022	-	17,790	-	17,790
ცვეთა	-	-	-	-
ჩამოწერა	-	135,044	-	135,044
ბალანსი 31.12.2023	-	152,834	-	152,834
ბალანსი 31.12.2022	-	342,362	-	342,362
ბალანსი 31.12.2023	-	755,884	-	755,884

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
სხვა ვალდებულებები	137,640	161,346
სავაჭრო ვალდებულებები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	137,640	161,346

9. შემოსავლები

შემოსავალი	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	31,906,966	19,357,886
დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი	-	-
სხვა შემოსავალი	-	-
სულ შემოსავალი	31,906,966	19,357,886

10. არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები

არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები	31.12.2023	31.12.2022
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	30,588	137,923
წმინდა საკურსო შემოსავალი/ხარჯი	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(439,680)	(464,320)
სულ არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები	(409,092)	(326,397)

11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	31.12.2023	31.12.2022
სხვა ხარჯები	(224,175)	(365,358)
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	(134,036)	(172,248)
კომპიუტერული და საოფისო ხარჯები	(55,779)	(22,773)
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	(2,805)	(3,822)
კომუნალური მომსახურების ხარჯი	(35,134)	(10,807)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(451,929)	(575,007)

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანია მომსახურებას უწევს დამფუძნებელ კომპანიას და მისი შემოსავალი ფაქტობრივად მხოლოდ მისთვის გაწეული მომსახურებიდან გენერირდება.

13. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია უზრუნველყოფს მომწოდებლებთან/კრედიტორებთან არსებული ვალდებულებების დაფარვას მენეჯმენტს მიაჩნია რომ კომპანია გააგრძელებს თავის საქმიანობას მომავალშიც.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 31 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ აღგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით პენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.